№ 201. 11 ოქტომბერი, სამშაბათი. 1866 – 1883 11 ოქტომბერი, სამშაბათი. № 201.

რედაქცია
სამონასონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიერ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება ბეჭდავს ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

არწრუნის თეატრი.

ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I
თვალთ მაქცოგა

ორ მოქმედებიანი კომედია, გადმოკეთებული ფრანციულიდამ.

II
ცელქები

ერთ-მოქმედებიანი ოდევილი, კუპლეტებით.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის საგენტოსი».)

8 ოქტომბერს.

ბათუმი. გზათა მინისტრმა და ინჟინერებმა სალოვმა და კლევეცკიმ გასინჯეს ბათუმის ნავთსადგური და გუშინ წავიდენ ნოვოროსიისკში.

გალიფაქსი. ერთს სასტუმროში დაატუსაღეს ორი კაცი, გვარად ბრიქსი და ჭილმზი; იმათ ბარგში იპოვნეს ბევრი დინამიტის პატრონები და ორი მეხანიზმი საათისა; დატუსაღებულები ამბობენ ამერიკელები ვართო.

მადრიდი. გაზეთი «ეპოქა» გვაუწყებს, რომ ვილნოვში, პორტუგალიაში, აჯანყება მოხდა; მმართველებმა ქალაქს თავი დაანებეს.

პეტერბურგი. გუშინ მოვიდა აქ ჩვენი სამხედრო აგენტი ვენაში, პოლკოვნიკი კაულბარსი.

«ნოვოე ვრემია» გვატყობინებს, – შინაურ საქმეთა სამინისტროს ცნობებიდამა სჩანსო, რომ საზოგადო დასახმარებელი თანხა გაჭირებულთა მცხოვრებთა ეხლა შვიდ მილიონ მანეთზედ მეტია; მომავალის წლის შემოსავლით კი 25 მილიონამდე აიწევს. გადაწყვეტილია, რომ 1884 წელს დაინიშნოს ორი მილიონი სათესლესთვის და იმ გუბერნიების დასახმარებლად, რომლებშიაც ადგილობრივი დასახმარებელი თანხა გამოლეულია; 100,000 მან. ცეცხლის ზარალის დასაფარავად იმ გუბერნიებში, სადაც ადგილობრივი საშუალება საკმარისი არ არის და ერთი მილიონი ვალი დაებრუნდეს ხაზინის დასახმარებელ თანხიდამ.

პარიჟი. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა ბიუჯეტის კომისიაში შესწორებული პროექტი 1884 ბიუჯეტისა; დეფიციტი უნდა დაფარულ-იქმნას დაზოგვილ 84 მილიონით.

რიბინსკი. ვოლგაში წყალი ორარშინზედ ნელზედ მაღლა სდგას; სითბო ხუთი გრადუსია.

ხარკოვი. იარმარკა თან-დათან ცხოველდება; მანუფაქტურის ნაწარმოებს უფრო და უფრო თხოულობენ; ბეწვეულობას თუმცა კარგად ყიდულობენ, მაგრამ უმაღლესის სორტისას არა ჰყურობენ.

ლონდონი. ტამატავიდამ მოსულის ამბებიდამა სჩანს, რომ საფრანგეთსა და მადაგასკარს შეა ომი თითქმის უეჭველია.

ბერლინი. წუხელის კარგა ძლიერი მიწის-ძვრა იყო.

პეტერბურგი. უმაღლესის გარდაწყვეტილებით ებძანა სენატს, რომ საგლეხო ბანკების დებულებას მიემატოს შემდეგი: მიეცეს სესხი რამდენსამე სოფლის საზოგადოებას ერთად მიწების ყიდვისათვის საზოგადო საკუთრებად იმ პირობით, რომ ამ საზოგადოებათ შეადგინონ განაჩენი შესახებ ერთიერთ-შორის პასუხის გებისა ვადაზედ სარგებლის შეტანაზედ და ამას გარდა მიეცეს სესხი იმ ცალკე სოფლებს, რომელნიც, თუმცა სრულს სასოფლო საზოგადოებას არ შეადგენენ, მაგრამ გააკეთებენ განაჩენს მიწის ყიდვის თაობაზედ ოჯახის უფროსთა ორის მესამედის თანადასწრებით მაინც.

იერუსალემის პატრიარქი ნიკოდიმე წმიდა საფლავის დეპუტაციასთან ერთად გატჩინოში წავიდა. გატჩინოს სტანციიდამ პატრიარქი ოქროს-ვარაყიან კარეტით მივიდა სასახლეში, სადაც დიდის ამბით მიღებულ-იქმნა ჯერ ხელმწიფისა და მერე დედოფლისაგან.

გაზეთები ამბობენ, რომ მომქმედის არმიის უწინდელ ინტენდანტის როსიცკის საქმე 15-ს ოქტომბერს უნდა გაირჩესო; მარტო ექვსი კვირა თურმე ფასების შემოწმებას მოუნდება; წინა-გამოძიების ოქმები 180 ტომს შეადგენენ.

თბილისი, 10 ოქტომბერს.

როდესაც ორის მოწინააღმდეგე დასის ბრძოლის შემდეგ ერთი დასი გამარჯვებული გამოდის, დამარცხებულს ერთი ნუგეში რჩება: იგი ნუგეშობს, რომ გამარჯვებული ვერ უგდებს ყურს იმ აზრებს და საგანს, რომლისათვისაც იბრძოდა, ბრძოლაში ჩვეულებრივი გაცხარება მალე გაუვლის, გულცივობა გატაცების ადგილს დაიჭერს და მხურვალე სიტყვების მაგივრად გაისმის ყოველ-დღიური «რა ჩვენი საქმეა! ჩვენ ჩვენს ქერქში ვიდგეთ!» ამ რიგად ბოლოს როლები იცვლება — გამარჯვებული დამარცხებული გამოდის და დამარცხებული მოთმინებით მოიპოვებს სულსა თვისსა, და ბოლოს გამარჯვება— გამარჯვება თუმცა არა კეინინთა და ტაშის-ცემით მიღებული, მაგრამ ჩუმი და მოწინააღმდეგე დასის გულ-ცოტბისა და დაუდეერობისაგან წარმოდგარი — პირველში დამარცხებულსა რჩება. ეს უფრო ძნელ მოხდება, როდესაც ძველი და ახალი დასი ერთმანეთს შეებრძვიან ხოლმე. ძველს დასს საფუძვლიანის ბაასისა და დასამტკიცებელ საბუთების ძებნის თავი რომ არა აქვს, ჯერ ყოველ ღონისძიებასა ხმარობს მოწინააღმდეგე დასის დასამარცხებლად, ცდილობს ძველადგან დარჩენილი გულში ნ ჯერწკალი არ ჩაიფერფლოს და ხელოვ-

«დროების» ტელეფონი, 11 ოქტომ

ლიტერატურული შენიშვნები

«იგერია» (იელისი და აგვისტო 1883 წ.)

დრო გამოშვებითი მწერლობა იმდენად უფრო ძვირფასი და მძლავრია, რამდენათაც მტკიცედ და სინდისიანად თვალ-ყურს ადევნებს საზოგადო საქმეებს და თავის პირუთვნელ აზრს წარმოსთქვამს იმათ შესახებ. ჩვენ აქ არ გარდავსთვლით ყველა იმ პირობებს, რომლებითაც დაულია დრო გამოშვებითი მწერლობის წარმატება, რადგანაც ამ წერილის საგანს იგინი არ შეადგენენ; აქ მხოლოდ მოვიხსენიოთ, რომ დრო გამოშვებითი მწერლობის წარმატების ერთ პირობათაგანს შეადგენს ჟურნალ-გაზეთობის თავ-თავის დროზე ამოსვლა; ეს გარემოება, შეიძლება, ბევრს ეარაად მიაჩნდეს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ცხადია იმისთვის, ვინც მწერლობაში პასუხს ეძიებს იმ კითხვებზე, რომელნიც აღნიშნულ დრო საზოგადოებას აღელვებენ.

ჩვენს მშობლიურს მწერლობას, რომლისათვისაც ყოველგვარი ჭირი «არ ახალია—ძველია», და რომელმაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო პირი უნდა შეუქციოს იმისთანა საგნებს, რომელნიც ჩვენის ცხოვრების ძარღვს შეადგენენ, შესჩვევია მეორე სენი— დაგვიანება. ეს გარემოება მეტადროდ შეკავშირებულია პირველთან, რომლის მნიშვნელობას იგი კიდევ უფრო აძლიერებს. დაგვიანება შესჩვეია ჟურნალს «იგერიასაც» ამ წლის და მეტადრე ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში. აი, ძლივს ველირსეთ ჟურნალის უკანასკნელ წიგნებსა, რომელნიც, ეტყობა, დიდის წვალებით შობილნი არიან და დიდი მეცადინეობა დასჭირებია ჟურნალის რედაქციას მათის გამოცემისათვის. ბადაავლეთ ჟურნალს თვალი, და ნახავთ, რომ მთელს ორს წიგნში (ერთად გამოცემულში) ვერ იპოვით ვერც ჩვეულებრივს შინაურს და პოლიტიკურს მიმოხილვას, ვერც ორიგინალურს მოთხრობებს, ვერც ვრცელსა და საფუძვლიანს სერიოზულ წერილებს, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ბ. პ. უ—ს წერილებს, რომელთათვისაც რედაქციას მთელის ორი წიგნის ერთ მესამედზე მეტი ადგილი დაუთმია.

შეუფველია, მკითხველს, გარდაავლებს თუ არა იგი თვალს «იგერიის» უკანასკნელს წიგნებს, წარმოუდგება კითხვა: რა არის მიზეზი ჟურნალის შეფერხებისა? რა სჩაგრავს და რა ჰხდის მას უფერულად?

ამ გვარ კითხვებზედ პასუხის მიგება მკითხველისათვის ძნელი არ უნდა იყოს, თუ კი ის გაიხსენებს, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენი მწერლობა წარმატებაში შევიდა; მწერალთა რიცხვმა იმატა და საზოგადოებასაც დაეტყო ხალისი კითხვისა. ყოველივე ესე დამნაშავედ არა ჰხდის თვით ჟურნალსა, რომელიც, ერთსა და ორს წელიწადზე მეტია, რაც საზოგადო საქმეს ბეჯითად ემსახურება; ჟურნალს უხმარია ყოველ გვარი ღონისძიება თავის წარმატებისათვის. ჩვენ თითონ არას ვიტყვით, თუ რა არის მიზეზი ჟურნალის შეფერხებისა და ვისაც ამის გამოცნობა სურს, ვთხოვთ ჟურნალის ყდას თვალი გადააველოს და შეიძლება იქ იპოვოს გამოცნობისათვის საშუალება.

ეხლა თვით ჟურნალის შინაარსზე მოვილაპარაკოთ. როგორც ზემოთა ვსთქვით, ჟურნალში თითქმის არა მოიპოვება-რა, რასაც შეეძლოს მიზიდვა მკითხველის ყურადღებისა. ჩვენ აქ ვილაპარაკებთ მხოლოდ ჟურნალის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შეიცავს ბ. პ. უ—ს წერილებს. სხვა დროს ამ წერილებზე არა რას ვიტყოდით, მაგრამ დღეს შევეხებით იმათ, რადგანაც იგინი შეადგენენ ნიშანს ჩვენის დროებისას და ალაგ-ალაგ შეეხებიან, დიაღ მხოლოდ შეეხებიან, ისეთს საგნებსა, რომელნიც დირსნი არიან ყურადღებისა. მით უფრო საჭიროა პ. უ—ს წერილებზე მოლაპარაკება, რომ თვით რედაქციას ეფიქრა ის ბრალი, რომელიც საკუთრად პ. უ—ს კალამს უნდა მიეწეროს.

ერთობ საინტერესოა ვიცოდეთ,

ნურის ბერვით პატარა ხანს მაინც გააცხოველოს, მაგრამ ამით რომ ვერას გახდება, მიყუჩდება ხოლმე და თავის ბედს მოთმინების ღმერთს კალთაში უხვევს.

ახალის დასის სამარცხვინოდ, უნდა გავტყდეთ, რომ ძველმა დასმა ამ მხრივ სრული გამარჯვება მიიღო შარშანდელს თავად-აზნაურობის კრებაზედ. ბორის თავად-აზნაურობის კრების მეოხებით გუბერნიის კრებამ სიხარულით დაადგინა სხვა-და-სხვა ჩვენის ქვეყნის სასიკეთო გარდაწყვეტილება: ვითხოვოთ ერობაო, ჩვენს სასწავლებლებში ქართულს ენას პატივი მივანიჭოთო, სკოლის გარდასახადი გავიწეროთ, ჩვენის ხარჯით საშუალო სასწავლებელი დავაარსოთო, მიწების გამიჯვნისათვის ვიზრუნოთო,—ყვიროდა ახალ-გაზდობა და ძველი დასი თითქმის ყოველს ამ პუნკტს «არ გვინდათი» ეგებებოდა. «არ გვინდამ» ვერა ჰქნა-რა, მაგრამ ძველის დასის სურვილი ჯერ-ჯერობით თავისითვე სრულდება. ყოველ ამ საგნის განსახილველად და შესამუშავებლად ცალკე კომისიები ამოირჩიეს, მაგრამ გადის წელიწად-ნახევარი და კომისიების მუშაობაზედ ჩამი-ჩუმიც არ არის. მწუხარებით უნდა ვაღიარეოთ, რომ ჯერ არც ერთი კომისია არც ერთხელ არ შეკრებილა და, ვგონებთ, კომისიის ზოგიერთ წევრებს არც ერთხელ არ მოუფიქრიათ, რომ ისინი კომისიის წევრები არიან და საზოგადოებამ იმისთანა საქმე მიანდო, რომლის შესრულებაზედ ცოტად თუ ბევრად ჩვენის ქვეყნის სიკეთეა დამოკიდებული; არც ერთხელ არ მოსვლიათ თავში, რომ თუ შარშანდელ თავად-აზნაურობის სურვილი შესრულდა, მაშინ აგვცილდება ეს მუდმივი ყარაულად დგომა ჩვენის სურვილს გამოსაცხადებლად; მაშინ ქახეთის გზის საჭიროებაზედაც, ტარიფის შეცვლაზედაც, ბაქის მოსპობაზედაც თითონ ჩვენი საზოგადოება შეძლებისამებრ იზრუნებდა და მის ხმას უფრო მეტი მნიშვნელობაც ექნებოდა, უფრო დიდი გავლენაც.

ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ და რა გზით უნდა ეშველოს საქმეს. ჩვენის აზრით, ამ საქმის მოთავობა და წესზედ დაყენება გუბერნიის მარშლის ვალია, რომელმაც, ვიდრე კომისიების თავსმჯდომარე არ ამოურჩევიათ, თავს-მჯდომარეობაც უნდა იკისროს. ბ. გუბერნიის მარშალმა უნდა მიიწვიოს ყველა კომისიის წევრნი, ამოარჩევინოს თავს-მჯდომარე და შემდეგ მიანდოს მათ საქმის შესრულება, თორემ ეს „წელიწად-ნახევარიც ისე გაირბენს, როგორც პირველმა გაირბინა, მოაწევს თავად-აზნაურობის კრების ვადაც და კომისიის წევრნი პირშავად, სირცხვილეულნი უნდა წარსდგნენ კრების წინაშე და შემუშავებულ პროექტის მიტანის მაგიერად ეს ბოდიში მოითხოვონ: არაფინ არ შეგვკრიბა და არც ვიცოდით, სად შევყრილიყავით, სად გვენახა კომისის სხვა წევრნი ერთად მუშაობისათვისაო.

რა პასუხს გასცემს მაშინ კრებას და რა პირით შეჰხედავს მას იგი, ვისაც საზოგადოებამ მიანდო წინამძღვრობა და ყოველ საქმეში მოთავეობა?

შინაური ქრონიკა

ბუშინ-წინ, კვირას, დიდის პატივით დაასაფლავეს თ. იაზონ თუმანიშვილი. დასაფლავებაზე დაესწრნენ ქალაქის ხმოსანნი, ვაჭრების წარმომადგენელნი და ამქრები ბაირაღებით, ბევრი დიდ-კაცობა და მრავალი ხალხი. ქუბოს წინ მიჰქონდათ რამდენიმე გვირგვინი შეგირდებს სახელოსნო სასწავლებლისას, რომელიც განსვენებულის მეოხებით არის დაარსებული; ამას გარდა სომხურის თეატრის წარმომადგენელთ გვირგვინი სომხების თეატრისაგან და სხვ. ამქრებმა თვითანთებურად დიდი პატივისცეს განსვენებულს და კუბო ვანქის ეკლესიამდე თავზე დადგმული მიიტანეს.

ბვირა საღამოს, ოქტომბრის ცხრას, არწრუნის თეატრში ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა «ყაჩაღი არსენა», მოჩხუბარიძისა და ვოდევილი «დატრიალდა ჯარა». თვით წარმოდგენაზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც ამ გზობით პიესებში მოთამაშეებს საზოგადოება კარგად იცნობს. ორივე პიესაში საკეთესო იყო მხოლოდ ბ. ვ. აბაშიძე. ხალხი ამ პირველ წარმოდგენისა კეალობაზედ კარგა ბლომად დაესწრო.

ხონიდამა გვწერენ, რომ იქაურ სამასწავლებლო სემინარიის მოწაფენი თუმცა დიდს სიღარიბეში არიან, მაგრამ იქ არ არსებობს თბილისისა და ქუთაისის გვარად იმისთანა ქველ-მომქმედი საზოგადოება, რომელსაც მათი დახმარება შეეძლოსო. თუმცა ამას წინად არსებობდა კომიტეტი, რომელიც ამ საქმისათვის ზრუნავდა და ხან წარმოდგენებსაც მართავდა ხოლმე, მაგრამ ეხლა კომიტეტის წევრებს (რომელნიც უფრო ამავე სემინარიის მასწავლებელნი არიან) თითქო გული აუცრუვდათ და აღარაფერსა ზრუნავენ ამ საქმისათვისაო.

სამეგრელო, მეტადრე ზუგდიდის მაზრა, ქურდობის ბუდე იყოო, გვწერს ერთი კორესპონდენტი, ასე რომ დღე საქონელი ბორკილ შეყრილი უნდა გვყოლოდა და ღამე შინა გვბმოდაო, მაგრამ ეხლა, ზუგდიდის ახალი მაზრის უფროსის წყალობით, ქურდობა ძალზედ მოისპო და შეგვიძლიან ჩვენ[illegible] დაბეული ვიყოთ [illegible] ვისუფლად ვაძოვოთო.

ამ შემოდგომაზედ ჩვენს ქვეყანას დაებედა სხვა-და-სხვა უმაღლეს პირთა წვევა. ჯერ მოვიდა გზათა მინისტრი; ამ ჟამად კავკასიაში იმყოფება სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და მალე, როგორც რუსული გაზეთები გვატყობინებენ, ზღვათა სამინისტროს გამგე ვიცე-ადმირალი შესტაკოვი დაათვალიერებს შავისა და კასპიის ზღვის ნავთ-სადგურებს.

«კავკაზი» გვატყობინებს, რომ თუმცა ბ. სტეფანოვი «Кавказское Обозрѣніе»-ს გამოცემას ნოემბერშივე აპირობდა, მაგრამ მომავალის წლის პირველ იანვრამდე გადასდოვ.

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ჩვენს ცხენის რკინის ჯის გამგებელი ბ. პიზანი ამ ცოტას ხანში ინგლისში მიდის იმ ელექტრიულ მაშინის გასაცნობად, რომელიც ვაგონებს უცხენოდ ატარებს. თუ ამ მაშინის შემოღება შესაძლებელი იქნება, თბილისის ვაგონებსაც იმით დაუწყებენ ტარებას.

ჯავახეთის ზოგიერთა სკოლებში მოსწავლე ქალების სასარგებლოდ ბ. ილ. ალხაზიშვილს გაუმართავს 20-ს აგვისტოს ტანცაობის საღამო, საიდამაც შემოსულა წმინდა ფული 169 მან. 17 კაპ. ამ ფულით უნდა იყიდონ ხელ-საქმისათვის საჭირო იარაღი და მასალა და დაურიგონ მოსწავლე ქალებს ქილდისა დბარალეთის სკოლებში.

გაზეთის «თერგის» სიტყვით, ამ დღეებში თბილისში უნდა მოვიდეს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე.

მისცემია თუ არა წარმატება ჩვენს მწერლობას და საზოგადოების ცნობიერებას; აგერ ოცს წელიწადზე მეტია, რაც მწერლობა მუდმივ შრომობს ჩვენს საზოგადო წარმატებისათვის; ბევრი ღვაწლი დაუდვია ძველს თაობას ამ საქმისათვის და ეხლა სწორედ საჭიროა ვიცოდეთ, მოიტანა თუ არა ნაყოფი ამ ოცის წლის მოღვაწეობამ, ტყუილ-უბრალოდ ხომ არ ჩაუელია ჩვენის მამულის საუკეთესო შვილთა მოღვაწეობას. საჭიროა, მივიხედოთ ჩვენს წარსულზე, შევადაროთ იგი აწმყოს და მით დავეფასოთ ჩვენი დრო და ძალა. ამ ფრიად ღირსშესანიშნავ საგანს გაკერით ეხება ბ. ჰ. უ. თავის ორს წერილში («ქართული მწიგნობრობა» და «სერგეი მესხი»). ბ. ჰ. უ. ერთობ უმართებულოდ ეპყრობა ამ საგანს და ამიტომაც ვერც პასუხი უპოვნია მისი და ვერც მნიშვნელობა შეუგნია; იგი ბრძანებს (იხ. 143 144 გვერ.), რომ «არასოდეს ქართველი მკითხველი ისე უცოდინარი არა ყოფილა თავისის მწერლობისა, ისე შეუსწავლელი არა ყოფილა ლიტერატურულის ენისა და ნაწარმოებისა, როგორც ეხლაა». აი, ესრეთს გარდაჭრილ პასუხს გვაძლევს ბ. ჰ. უსაბუთოდ; მას ვერც ერთი საბუთი ვერ უპოვნია თავის აზრის დასამტკიცებალდ და ჩვენ ვერ შეგვიგნია ის მიზეზი, რომელმაც იძულებული ჰყო ბ. ჰ. უ. წამოესროლა გულსაკლავი სიტყვები. ბ. ჰ. უ. უცნაურის აზრის გარჩევას ცოტა ქვემოთ შევუდგებით და ჯერ-ჯერობით ვუჩვენებთ მკითხველს, თუ რა ლოგიკის პატრონთანა გვაქვს საქმე; თუ როგორ მოსაზრეობს ის კაცი, რომელიც უცოდინარობას და უსწავლელობას სწამებს მთელს მკითხველს საზოგადოებას. ამისათვის, 144 გვერდიდგან გარდავიდეთ 145-ზე და იქ წავიკითხავთ, ჰ. უ—ს აზრის დამამტკიცებელს საბუთს კი არა, არამედ დამარღვეველს. აი, ჰ. უ—ს ავე სიტყვები: «რაც უნდა იყოს, საზოგადო კრიტიკულ აზრს და მწერლობის ცოდნას ჩვენს მწერლობაში თუ არა, მწერლებში მაინც წინსვლა მისცემია»*). მოიგონეთ, ზემოთ-მოყვანილი სიტყვები ჰ. უ—სა და შეათანხმეთ იგინი ეხლა მოყვანილს; აქ ჰ. უ—ს სიტყვით, საზოგადო კრიტიკულს აზრს წარმატება მისცემია; შესაძლებელია, ჰ. უ—ს კარგად არ ესმოდეს, რა არის საზოგადო კრიტიკული აზრი; ამის ასახსნელად ჩვენ იძულებულნი ვართ, განვუმარტოთ, მკითხველს კი არა, ჰ. უ—ს, რადგანაც მკითხველის მოსაზრებაზე სრულიად დარწმუნებული ვართ. საზოგადო კრიტიკული აზრის წარმატება იგულისხმებს ლიტერატურულის ენის და ნაწარმოების შესწავლას, საზოგადოების ცნობიერების განვითარებას, მოსაზრებას და სხვ. და სხვ. ცხადია თუ არა ბ. ჰ. უ—ს აზრების წინააღმდეგობა და ულოგიკობა? და აი, ამისთანა მომსაზრებელი ადამიანი, სწამებს სხვებს უცოდინარობას, შეუსწავლელობას და ჩირქსა სდებს იმ ჟურნალს, რომელიც იძულებული იყო მისი წერილებისთვის ადგილი დაეთმო. შემდეგში კიდევ უფრო ნათლად დავამტკიცებთ ჩვენს აზრს ჰ. უ—ზე და ეხლა კი ვრცლად მოვილაპარაკოთ იმ საგანზედ, რომელსაც შეეხება ჰ. უ—ს ზემოთ-მოყვანილი სიტყვები.

რომელი წინადადებაა ჰ. უ—სა საუუძვლიანი და რომელი არა. ნუ თუ ჩვენი მკითხველი არასოდეს ისე «უცოდინარი არა ყოფილა თავისის მწერლობისა, ისე შეუსწავლელი არა ყოფილა ლიტერატურული ენისა და ნაწარმოებისა, როგორც ეხლაა»; მისცემია თუ არა რაიმე წარმატება ჩვენს საზოგადო აზრს და მწერლობას?

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ცხოვრება და მწერლობა ერთობ ვიწრო კალაპოტშია მოქცეული, ერთობ ბევრი დაბრკოლება ეძლევა მათს წარმატებას სხვა-და-სხვა მიზეზების გამო; საუკეთესო ჩვენი ძალ-ღონე ისეთის საგნებისთვის მოგვინდომებია დრო და ვითარების გამო, რომელნიც მეცნიერებაში და

*) «ივერია» ერთს თავის წერილში სხვებს ამტყუნებს აზრების წინააღმდეგობაში, მაგრამ თითონ მას კი ვერ შეუმჩნევია თავის თანამშრომლის აზრების არევ-დარევა. ავტ.

3-ს ოქტომბერს, ამბობს იგივე გაზეთი, ქაქაეში მოვიდა პირველი თოვლი, რომელიც მაშინვე გადნა.

თუმცა თავად-აზნაურობა კეირას იყო მიწვეული ბ. გუბერნიის მარშლისაგან თ. Gრიგოლ Oრბელიანის ძეგლის აგებაზედ მოსალაპარაკებლად, მაგრამ გარემოების გამო ეს საქმე გადადებულა და ეხლა ბ. მარშალი მიიწვევს თავად-აზნაურობას იმავე საქმისათვის სამშაბათს, 11 ოქტომბერს, საღამოს 6-ს საათზედ.

«დროების» კორესპონდენცია.

პეტერბურგი, 27 სექტემბერს. რუსეთმა დაჭკარგა ტურგენიევი. თუმცა დღე-დღეზედ მოელოდენ მის სიკვდილს, მაგრამ მაინც ამ სამწუხარო ამბავმა მთელი რუსეთის საზოგადოება შეაძრწუნა. ტურგენიევს პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის რომანისტებში და ფეხ-და-ფეხ მისდევდა იგი უოველს პერიოდს, რომელიც რუსეთის ცხოვრებამ გაიარა 1840—70 წლებში. ვინ არ იცნობს იმის სიტყვა-პრიალა რუდინს, მის ბაზაროვს, ინსაროვს და სხვ.; ამ ტიპების დასურათებაში ტურგენიევი იჩენდა შესანიშნავ სელოვნებას და აჩვენებდა, თუ რამდენად წაიწია წინ რუსეთის აზროვნობამ, ან რა ცვლილება მიიღო, რისთვისაც მას უძახდენ «რუსეთის აზროვნობის ისტორიოგრაფსა», თუმცა ბოლოს დროს ახალის დროების ტიპის გამოსატვა ვედარ მოასწრო, ვედარც საზოგადოების უმთავრესს კითხვებს მისცა პასუხი, მაგრამ ეს უნდა დაბრალდეს რეაქციის ზედ-მოქმედებას და იმ სასოწარკვეთილებას, რომელშიც მე 80 წლებში ჩავარდნილი იყო საზოგადოების გრძნობა და აზრი...

ტურგენიევი იყო მოსისხლე მტერი მონობისა და მატარებელი საზოგადო კეთილდღეობისა, ეკუთვნოდა იმ სამართლის მომხრე კაცთა დასს, რომელნიც შეუპოვრად იძახდენ: «ღალატი კაცი ნიკითი არ არის, მიეცით იმას კეთური ღირსება, დაუბრუნეთ, რაც დროთა კეთილებისაგან დაუკარგავსო»! ტურგენიევს ევროპაშიაც კარგად იცნობდენ და ბევრი გრძნობიანი სიტყვა ითქვა იმის ცხედრის წინ.

დაწვრილებით მის მწარე-ობრივს მნიშვნელობაზედ ეხლა ვერას ვიტყვით; მე მინდა მკითხველს შევატყობინო მხოლოდ ის, რასაც სიშორისაგამო ვერ გაიგებდა და, სხვა-შორის, გავაცნო ის პირები, რომელნიც პეტერბურგში ჩვენის სახელით პარაპაობდენ და ქვეყანას ატყობინებდენ.

ტურგენიევის გვამს მოელოდენ პეტერბურგში 27 სექტემბერს. ოოველი საზოგადოებიდამ, რომელსაც ეტყობა გონების მოძრაობა, ოოველი სასწავლებლიდამ—დიდიდამ დაწყებული უმაღლესამდე, ოოველ გაზეთიდამ გაგზავნილი დეპუტატები თავ-თავიანთ გვირგვინებით მოელოდენ რკინის გზის მატარებლის მოსვლას დილის 11 ს. 20 მ. მე გვიან გავედი ქუჩაში: აუარებელ, აწრელებულ ხალხის გროვას ჩრდილავდა ურიცხვი, თვალის-გამტაცებელი გვირგვინების რიცხვი; თვალებ დაცვეცებული ვაკვირდებოდი გვირგვინების ზედ-წარწერებს, მაგრამ წაკითხვას ვერ ვასწრობდი; გამცდა ორმოცამდე გვირგვინი, მოჰყვა შემდეგ გვირგვინი, რომელიც ეჭირათ ხელში კარგა მოხუცებულებს ზედ წარწერით: «И. С. Тургеневу Вѣстникъ Европы», იმას მოჰყვა «Недѣля»; შემდეგ თვალები გავაჩერე ერთს გვირგვინზე, რომელზე დაც ჩემი მანუგეშებელი სიტყვა ეწერა: «Великому Художнику Тифлисъ». მიამა, ღვთის წინაშე, ვიფიქრე უოუოდ ჩვენის ქართველებისაგან იქნება მეთქი, მაგრამ მოტუუვდი: ამ უზარ-მაზარ გვირგვინს, ჩვენის დედა-ქალაქისაგან გამოგზავნილს, გეურჭა და მინასა ამოჭეარებოდენ. გავოცდი მაგრამ მიკვირდა კი, რასაც ნიშნავდა ეს ამბავი; ამ გვირგვინის გამოგზავნა და მისი წარმოსადგენლები უფრო ერეკვნსა და ნახიჩევანს შეეფერებოდა, მაგრამ ისა არა სჯობს საეჭვოს დავეპატრონოთ,—ჩვენი ხომ ჩვენია და ჩვენი!

ბოლოს არ შემიძლიან, არ გავუზიარო მკითხველს ის ზედ-მოქმედება, რომელიც იქონია ჩემზედ ტურგენიევის დამარხვის პროცესიამ. ის თანაგრძნობა, რომელიც ტურგენიევს საზოგადოებამ აღმოუჩინა, ამტკიცებს რომ რუსეთში საზოგადოებრივმა გრძნობამ საკმაოდ გაიღვიძა, ლიტერატურამ გაიდგა ფესვი ხალხში, საზოგადოებაში და დაუვნა ხალხი წინ-მსვლელობის გზაზე; აქ მოწინავე კაცი, რასაც საუბედუროდ ჩვენს ქვეყანაში ვერა ვხედავთ, მქადაგებელი ჭეშმარიტებისა, მხნეკდება, არა ჩდუნგდება მაგრ; ხალხის თანაგრძნობა აცოცხლებს, ამხნევებს მას; იუბილეის დღეს ხალხი პატივისცემით მიდის და ულოცავს მის კეთილ ნაყოფიერ შრომას; მოკვდება და თვალ-ცრემლიანი აბამს კუბოზე გვირგვინსა, და თითქო ეუბნება ასაგზაზდას, მიმავალ მამულის შვილს: «იყავ პატიოსანი და შენც ასე დაგასაჩუქრებთო»; როდესაც მაუურებელი ჭსედავს პატივისცემას პატიოსანის კაცისას, იმას ეგზნება გულში ის გრძნობა, რომლითაც იყო გამსჭვალული ჩვენი შოთა, როცა ამბობდა: «სჯობს საოცცხლესა ნაძრახსა სიკვდილი ხახელოვანი»! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ—სულ იყოს 10—15 წლიწადი—რაც პისარევის ტყვიის კუბო მიჭედნდა რამდენიმე ქალს და დამარხვაზე 60 კაცზე მეტი არ ოოფილა. დღეს კი ვხედავთ, რომ ათი-ათასობით მირბის ხალხი პატივის-საცემლად სიმართლის მოტიჭეულის დასაფლავებაზე... უმაღლესი მხედართ-მეთერალი ისსნის ხმალს და ერევა დეპუტატთა რიცხვში იმ პირის პატივის-საცემლად, რომელსაც არა ჭქონია არავითარი ორდენი, არ უღვრია სისხლი ქვეყნების შეკონასთვის, არ ჭედ დაუღვრია მხოლოდ რამდენიმე ოფლი-მეტანი ორიოდ დასტა ქაღალდზე კეთილშობილობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

რუსეთი

— **რ**ადგანაც შენიშნულია, რომ ზოგიერთა საკრედიტო დაწესებულებათა ანგარიშის გასწორების დროს (ликвидація) ბევრი უკანონობა და უსწორობა ხდება ხოლმე, ამისათვის, როგორც გაზეთი «**რ**უსკი ჟურიერი» იწერება, პროექტი სდგება, რომლის ძალითაც ფინანსთ მინისტრს ენიჭება უფლება თვითონ შეადგინოს ხოლმე კომისია და მას ანდობდეს ანგარიშის გასწორებას ყველა იმ საკრედიტო დაწესებულებათა, რომელნიც გაუქმდებიან. ამ კომისიაში უნდა იყვნენ ერთი თავ-მჯდომარე, ოთხი ფინანსთ მინისტრისგან დანიშნული წევრნი და ოთხი წევრიც, ბირჟის კომიტეტებისაგან და ქალაქის საბჭოებისგან ამორჩეულნი. **რ**ოდესაც საქმე ქალაქების საზოგადო ბანკებს და ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებათ შეეხება, მაშინ ერთი წევრთაგანი ადგილობრივმა გუბერნიის ან მაზრის ერობის გამგეობამ უნდა ამოირჩიოს.

— **ი**მის მაგალითად—თუ რა უცერემონიოდ ეპყრობა ავსტრია **რ**უსეთს, მოგვყავს აქ გაზ. «**რ**უსკი ჟურიერიდგან» რამდენიმე შემთხვევა, რომელიც **რ**უსეთის დასავლეთის სამზღვარზედ ყოფილა.

ავსტრიის ოფიცრები თურმე თავისუფლად შემოდიან **რ**უსეთის სამზღვარში, თავის ჯარებით ადგილებს თურმე სინჯავენ, ზომავენ, ჰხატავენ და გეგმებს თურმე იღებენ და მერე ისევ ისე ბრუნდებიან თავიანთ სამ-

---

სხვა ერთა მწერლობაში უკვე გარდაწყვეტილია. ეს აზრი ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში და სრულიად სამართლიანადაც მიგვაჩნია იგი. მაგრამ ეს გარემოება ვერასოდეს ვერ გვაფიქრებინებს, ვითომც ჩვენს საზოგადო აზრს და მწერლობას არავითარი წარმატება არ მისცემოდეს და უკან-უკან იხეოდეს იგი. ძარგი მომავალი მოელის იმ ხალხს, რომელიც მედგრად ებრძვის თავის წარმატების შემაფერხებელ მიზეზებს და თან-და-თან სძლევს მათ. **თ**ითქმის მთელის საუკუნის განმავლობაში ჩვენ იძულებულნი ვიყავით დაგვეცო ჩვენი ვინაობა და ამ სამართლიან საქმისათვის მოგვენდომებინა ჩვენი საუკეთესო ძალ-ღონე. **ე**ხლანდელ საუკუნეში ჩვენ გვყოლია და გვყავს წარჩინებული პოეტები: **ბ**არათაშვილი, **O**რბელიანი, **ა**. **ჭ**ავჭავაძე, **ი**. **ჭ**ავჭავაძე, **ა**. **წ**ერეთელი და სხვა მწერლები; გვქონია ჟურნალ-გაზეთები; რაც უნდა შეეწროებული ყოფილიყოს მათი მოღვაწეობა, რაც უნდა მცირე იყოს შედარებით ზოგიერთა მწერლების ნაშრომ-ნაღვაწი, რაც უნდა ფრთა შეკვეცილი იყოს მათი ზედ-გავლენა საზოგადოებაზე, მაინც მათი მნიშვნელობა უეჭველია. **შ**ეუძლებელი საქმეა, რომ მამულის საუკეთესო შვილთა მოღვაწეობამ უნაყოფოდ ჩაიაროს მთელის ხალხისათვის. ამ ოცის წლის განმავლობაში ჩვენში არსებობს მუდმივი დროგამოშვებითი მწერლობა, რომელიც დღითი-დღეზე მოქმედობს საზოგადოების გონებაზე; ნათქვამია, «სიპი ქვა დალია წყალთა დენამა» და ნუთუ ჩვენის საზოგადოების გრძნობა-გონება ცოტათი მაინც ვერ შეიმუშავა ჩვენმა მწერლობამ? **ნ**უთუ ცოტაოდენი ნათელი ვერ მოჰფინა მან ჩვენს ცხოვრებას? **ა**რა, არა, ეს შეუძლებელია და **პ**. **უ**—ს პირველი წინადადება რომ მართალი იყოს, მაშინ გულზე ხელები უნდა დავიკრიფოთ და ბედს მივანდოთ ჩვენი მომავალი; მაშინ ჩვენ ჩვენს თავზე ფიქრსა და ცდას თავი უნდა დავანებოთ, და მწერლობამ თავისი იარაღი უნდა ძირს დააწყოს. **თ**ვით **პ**. **უ**., რომლის ნამდვილი აზრი გამოურკვეველია ლოგიკის არევ-დარევის გამო, თავის მეორე წერილში («**ს**ერგეი **მ**ესხი» 178 გვერ.) ამბობს «**დ**როების» შესახებ, რომ «გაზეთი შეუწყვეტლად მეხის (მესხის თუ?) შრომით აჩვენდა ერთის მხრით ქართველს საზოგადოებას ცხოვრების თვალის მიდევნებას და მოსაზრებას, აჩვენდა კითხვას, და მაშასადამე მისს ცნობიერებას, გონებითს მწყურვალებას საზრდოს აძლევდა შეძლებისადა-გვარად». მერმე თავის აზრის დასამტკიცებლად **პ**. **უ**—ს მოჰყავს ბ. Cერცვაძის სიტყვა, რომელშიაც «გამოითქვა ჩვენი მკითხველის აზრი». მაშასადამე, ჩვენი აზრი ისეთი ჭეშმარიტი ყოფილა, რომ თვით **პ**. **უ**—საც კი მოსჩენებია ხანდისხან მისი სინამდვილე; თუ «**დ**როების» მოღვაწეობა ისეთი ნაყოფიერი იყო, როგორც ამბობს **პ**. **უ**., მაშასადამე სხვა ჟურნალ-გაზეთებზედაც იგივე ითქმის. **ე**რთის სიტყვით, უნდა ვალეიაროთ, რომ ჩვენის საზოგადოების აზრს და მწერლობას, მართლათაც სხვა-დასხვა მხრით მისცემია ცოტაოდენი მაინც წინ-სვლა. **მ**წერლობის წარმატება **პ**. **უ**—ს. სჯერა, თუმცა ამ შემთხვევაშიაც ეჭვს აცხადებს და ბძანებს, რომ «მწერლობის ცოდნას მწერლობაში თუ არა, მწერლებში მაინც წინ-სვლა მისცემია». **ეს** აზრი, როგორც სხვა აზრები **პ**. **უ**—ს ნათელი არ არის: მართლა, როგორ მიეცა წარმატება მწერლობის ცოდნას მწერლობაში, თუ არ მწერლებში? **რ**აში დაეტყო მწერლობას მწერლობის ცოდნა, თუ მწერლებს იგი არ გამოუჩენიათ? **თ**უ მწერლებს ეტყობათ მწერლობის ცოდნა, მაშინ, უეჭველია, მათი ცოდნა მწერლობისა **მ**წერლობასაც დაეტყობოდა. **ეს** ჭეშმარიტება ერთობ მარტივია, და ამისათვის მიგვინდვია იგი ბ. **პ**. **უ**—ს გონების გამჭრიახობისათვის.

(დასასრული ხვალ)

ზღვარზე. ამ გვარი შემთხვევა წრეულ რაოდენიმე ყოფილა და თუმცა კიდეც დაუტუსაღებია რუსეთის სამზღვრის მთავრობას, მაგრამ ავსტრიის ოფიცრები მაინც კიდევ თავისას არ იშლიან. ამას წინად ერთი ავსტრიის ოფიცერი თავის ჯარით შემოსულა რუსის სამზღვარში, გამოუყვანია კარგა მანძილი და ერთ რუსეთის კორდონს მისდგომია. აქ დახვედრია რუსის პორუჩიკი ბოგოლეპოვი და უთხოვნია უკან დაბრუნება, მაგრამ ავსტრიის ოფიცერს არამც თუ ყურადღება არ მიუქცევია ბოგოლეპოვის თხოვნისათვის, არამედ თავის გვარიც კი არ გამოუცხადებია და უზდელად, უმართებლოდ და ზიზღით მოჰპყრობია მას. როდესაც ბოგოლეპოვი აღარ მოჰშვებია, ავსტრიელებს მასხარად აუგდიათ ის და დიდის ხარხარით გაბრუნებულან უკან. 14 სექტემბერს ავ ტრიის პორუჩიკი ძოსაკი და 14 სალდათი ულანის პოლკისა ამ გვარადვე შემოსულან სამზღვარში და ერთს სოფელთან მისულან, მაგრამ აქედამ რუსის მსამზღვარის მთავრობას უკან გაუბრუნებია.

ეს მაგალითები ამტკიცებენ, რომ რუსეთს დიდი ფიქრი და სიფხიზლე მართებს თავის დასავლეთის მოსამზღვრეებისგან.

უცხოეთი

— ბერმანიიდგან მოსული ამბებიდგან ვტყობილობთ, რომ ბერმანიის ზღვის ჯარების უფროსი ქილში ყოფილა და იქ ადმირალების კრება მოუხდენია თავის თავს-მჯდომარეობით. ამ კრებაზე რჩევა ყოფილა იმაზედ, თუ რა ზომები იხმაროს ფლოტის დროზე მომზადებისათვის, თუ, ეინიცობაა, საჭიროებამ მოითხოვა, და გადაუწყვეტიათ, ისე მოაწყონ ფლოტის საქმე, რომ ისაც მზად იყოს საომრად სხვა ჯარებთან ერთად, ე. ი. როდესაც ბძანება იქნება ფლოტის გამზადებაზე, შეეძლოს მას რვა დღის განმავლობაში მზად იყოს და ზღვაშიც გამოვიდეს. ამბობენ, რომ ისე მალე არც ერთი სახელმწიფოს ფლოტი არ იქნება საომრად მზად, როგორც ბერმანიისაო.

— იქიდამვე იწერებიან, რომ მუხთარ-ფაშა დაესწრო ჰომბურგში ბერმანიის ჯარების მანევრებსაო და იქიდამ ფრიდრიხსრუეში წავიდა ბისმარკთანაო, რომელმაც ძალიან თავაზიანად და ალერსიანად მიიღოვო ფრიდრიხსრუედგან ბერლინში გაიარაო და აქ ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ბერმანიის კანცლერი ოსმალეთის საუკეთესო მეგობარიაო. ბერლინში მუხთარ-ფაშას ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა დოქტორ ბუშესთან, რომელიც ბისმარკს კარგად ჰყავს მიჩნეული და ერწმუნება კიდეცაო. იმათ მოლაპარაკებას რომ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, ეს იქიდამ სჩანს, რომ მუხთარ-ფაშა მალე უნდა წასულიყო ბერლინიდგან, მაგრამ გადასწყვიტა კიდევ რამდენიმე ღღე დარჩეს ბერმანიის დედა-ქალაქიო.

— იქიდამვე იწერებიან, რომ მმართებლობას განზრახვა აქვს სუხოეოს რეესტრაგს სამი წელიწადი კიდევ დასტოვოს უცვლელად ის კანონი, რომელიც სოციალ-დემოკრატებს შეეხებაო.

— როდესაც ესპანიის მეფე პარიჟიდგან მიდიოდა ესპანიაში, იმან არავინ გაიყოლა თან და მარტო თავის ადიუტანტით წავიდა იმ ქუჩით, რომელზედაც ბევრი ხალხი დაიარება და რომელსაც ამის გამო ნამდვილს პარიჟის ქუჩას ეძახიან. ერთს ადგილას მეფე ეტლიდგან გადმოხდა თურმე და ამ დროს ერთმა ქუჩის ბიჭმა სწორედ იმის წინ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა: «იყიდეთ მეფე ულანი» და მიაჩეჩა ხელში ალფონს პამფლეტი, რომელსაც ზედ ზემოდ მოყვანილი სიტყვები ეწერა: ალფონსმა შეხედა ბიჭს, გაიცინა, ორი სუ (ფული) აჩუქა და შემდეგ თავის ადიუტანტს თურმე უთხრა: «მინდოდა ბევრი მეჩუქებინა ამ ბიჭისთვისა, მაგრამ მეშინია, რომ არ მიცნოსო». შემდეგ ჩაჯდა კარეტაში, დაიწყო პამფლეტის კითხვა და ბევრი იცინა თურმე.

განცხადებანი

კერძო საქმეების ვექილი ვ. მ. ალბედინსკი

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანცის სახლში, № 42, საადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ.

(10—9)

თბილისის ჯარების ტანთსაცმელის სამკერვალო, რომელიც ნავთლუღი იმყოფება, იწვევს სამუშაოდ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც პიშეუძლიანთ მუნდირების და შინლების ხელით კერვა და აგრეთვე იმ მკერვალ კაცებს და ქალებს, რომელთაც ფეხის საკერავ მაშინაზე მუშაობა იციან.

(10—3)

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

ქიუჩარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ.

(14—4)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |